ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 11 დეკემბერი, 2013 წელი

საკონკურსო კომისიის და მისი აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ უჯარმის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) ციხე-ქალაქის კვლევითი-საფიქსაციო სამუშაოების და რეაბილიტაცია-კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 28 ნოემბერს გამოცხადებულ N 1039 კონკურსზე, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი /პაატა გაფრინდაშვილი/

კომისიის წევრი /ნიკოლოზ ზაზუნიშვილი/

კომისიის წევრი /ნინო კორძახია/

კომისიის წევრი /ირინე საბაშვილი/

კომისიის წევრი /გიგლა ჭანუყვაძე/

კომისიის წევრი /ნინო ნოზაძე/

კომისიის წევრი /გიორგი მისრიაშვილი/

კომისიის აპარატის წევრი /გუგა გოგაძე/

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“

უჯარმის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) ციხე-ქალაქის კვლევითი-საფიქსაციო სამუშაოების და რეაბილიტაცია-კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისმომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი 11.12.2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პაატა გაფრინდაშვილი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ნიკოლოზ ზაზუნიშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი.
ნინო კორძახია – საკონკურსო კომისიის წევრი – ხარისხის კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი;
ირინე საბაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი;
გიგლა ჭანუყვაძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი;
ნინო ნოზაძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი;
გიორგი მისრიაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფრ. სპეციალისტი;
გუგა გოგაძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – ადმინისტრაციულ-ფინანსური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მერაბ ბოჭოიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – გენერალური დირექტორი, სამსახურებრივი მივლინების გამო;
მანანა სურამელაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – მთავარი ექსპერტი მეთოდოლოგიურ საკითხებში, სამსახურებრივი მივლინების გამო.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ უჯარმის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) ციხე-ქალაქის კვლევითი-საფიქსაციო სამუშაოების და რეაბილიტაცია-კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 28 ნოემბერს გამოცხადებული N 1039 კონკურსის შედეგების განხილვა.

კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 1 (ერთი) კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება:

1. შპს „იკორთა 2007“

კომისიამ განიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება,

1. საკონკურსო კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. კომისიის ყველა წევრი მომხრეა მიღებულად ჩაითვალოს კონკურსანტის - შპს „იკორთა 2007“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსანტის - შპს „იკორთა 2007“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. უჯარმის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) ციხე-ქალაქის კვლევითი-საფიქსაციო სამუშაოების და რეაბილიტაცია-კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსზე გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „იკორთა 2007“.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი - „გამარჯვებული გამოვლენილია“;

4. უჯარმის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) ციხე-ქალაქის კვლევითი-საფიქსაციო სამუშაოების და რეაბილიტაცია-კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მე-11 მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულება;

5. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მონაწილე კონკურსანტს.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი	/ნიკოლოზ ზაზუნიშვილი/
კომისიის წევრი	/ნინო კორძახია/
კომისიის წევრი	/ირინე საბაშვილი/
კომისიის წევრი	/გიგლა ჭანუყვაძე/
კომისიის წევრი	/ნინო ნოზაძე/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 10/08/2/1680 "11" 12 2013წ.

შპს „იკორთა-2007"-ს
დირექტორს გივი ხურცილავას

მის: ქ.თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N44

ბატონო გივი,

გაცნობებთ, რომ სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ უჯარმის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) ციხე-ქალაქის კვლევითი-საფიქსაციო სამუშაოების და რეაბილიტაცია-კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 28 ნოემბერს გამოცხადებულ N1039 კონკურსზე გამოვლინდით გამარჯვებულად.

გთხოვთ, მობრძანდეთ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ში არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების გასაფორმებლად მისამართზე: ქ.თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა გაფრინდაშვილი

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. 2 932 411, 2 932 394; ფაქსი (+995 32) 2 932 394
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Georgia. Fax (+995 32) 2 932 394, Phone 2 932 411, 2 932 394
www.heritagesites.ge